

დასწავლის შემდგომი ძილ-ღვიძილის ციკლის სტრუქტურის
ცვლილების გავლენა არასრულად დასწავლილი აქტიური განრიდების
დავალეების გახსენებაზე

ანა აფციაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტზე ნეირომეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა,

მიმართულება: ნეირომეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ონიანი, სრული პროფესორი, ბმად

სამეცნიერო თანახელმძღვანელი: ნანი ლორთქიფანიძე, მკვლევარი, ბმად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა აფციაური

6 ივლისი 2018

აბსტრაქტი

კამინის მიერ 1957 წელს ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებმა აჩვენეს დროის სხვადასხვა პერიოდში არასრულად დასწავლილი აქტიური განრიდების ამოცანის გახსენების U-ს ფორმის მაგვარი მრუდი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო კამინის ეფექტის რაოდენობრივი და დროითი მახასიათებლების უფრო დეტალური შესწავლა და გარკვევა, თუ არა გავლენა აქვს ძილს კამინის ეფექტის მანიფესტაციაზე.

საკვლევი ობიექტები იყვნენ თეთრი, უჯიშო, ორივე სქესის ლაბორატორიული ვირთაგვები. მებსიერების ხარისხის შესასწავლად გამოყენებული იქნა ორმხრივი აქტიური განრიდების ამოცანა. ძილის ტოტალური დეპრივაცია ჩატარდა „ნაზი“ შეხების მეთოდით.

მიღებულმა შედეგებმა აჩვენა თავდაპირველი დასწავლის სეანსის შემდგომი ძილის ხანგრძლივობის და ხელახლა დასწავლის სეანსებში განრიდებების რაოდენობას შორის უარყოფითი კორელაცია. ასევე, ნანახი იქნა, რომ ძილის ეპიზოდების ღვიძილით ჩანაცვლებას დადებითი გავლენა აქვს აქტიური განრიდების ამოცანის გახსენებაზე ხელახლა დასწავლის სეანსებში.

საძიებო სიტყვები: ძილის ტოტალური დეპრივაცია, კამინის ეფექტი, აქტიური განრიდება, არასრულად დასწავლილი ამოცანის გახსენება.

Abstract

The data of Kamin's experiments in 1957 showed the U shaped retention curve of incompletely learned active avoidance task over the varying periods of time.

The purpose of present study was a further investigation of quantitative and temporary characteristics of the Kamin effect in details and to determine the effect of sleep on the development of the Kamin effect.

The testing subjects were inbred albino, adult, laboratory rats both male and female. To study the level of memory was used two-way active avoidance task. Total sleep deprivation was held using "gentle handling" method.

The obtained data showed the negative correlation between the number of avoidances in relearning sessions and the duration of sleep after original learning session. Also, it was found, that the replacement of sleep episodes with wakefulness has positive effect on the recall of active avoidance task in relearning sessions.

Keywords: Total sleep deprivation, the Kamin effect, active avoidance, recall of the incompletely learned task.